

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ დაკვეთით ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელსაც ახორციელებს საერთაშორისო კომპანია Edison Research (www.edisonresearch.com).

Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი**– შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ (ს/კ:211352016), მისამართი: ზ.ანჯაფარიძის 5ა (ყოფილი სანდრო ეულის ქ.5ა), თბილისი, 0186, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო**– კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელმეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა**– სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 6 ვესტ კლიფ ქუჩა, სამერვილ, ნიუ ჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. **კვლევის ჩატარების დრო**–25.09.2018- 04.10.2018.
5. **გამოკითხვის მეთოდი**- პირისპირი გამოკითხვის გზით;
6. **გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:**
 - დღეს რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას?
 - რომელ კანდიდატს არ მისცემდით ხმას არც ერთ შემთხვევაში?
 - მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში?
 - ვის ინტერესებში შედის დაბალი საარჩევნო აქტივობა?
 - რამდენად მოსალოდნელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართოს?
 - რომელი ორი კანდიდატი გავა მეორე ტურში?
 - თუ მეორე ტურში გავლენ გ.ვაშაძე და ს. ზურაბიშვილი, რომელს დაუჭერდით მხარს ?
 - თუ მეორე ტურში გავლენ დ. ბაქრაძე და ს. ზურაბიშვილი, რომელს დაუჭერდით მხარს?
 - თუ მეორე ტურში გავლენ გ.ვაშაძე და დ.ბაქრაძე, რომელს დაუჭერდით მხარს?
 - სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არა ქვეყანა?
 - ბოლო 5 წლის მანძილზე კორუფციის დონე გაიზარდა თუ შემცირდა ქვეყანაში?
 - როგორია კრიმინალური ვითარება ქვეყანაში?
 - როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, ომეგა ჯგუფისა და ტელეკომპანია იბერიას მიმართ განვითარდა მოვლენები, რომელიც შეიცავს ქრთამის აღების ბრალდებას. რა არის თქვენი მოსაზრება აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით?
 - რომელი არხის პოლიტიკური და საინფორმაციო გადაცემებიდან იღებთ ინფორმაციას ?
7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები**– შესაძლო ცდომილება +/-2 %, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
8. **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. **შერჩევის არეალი**-საქართველო
10. **შერჩევის ზომა:** 3000.

11. **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში)
12. **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის პარამეტრებით.
13. **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 3000 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. **ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს-** შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.
15. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	%
1. სახლში არავინ ცხოვრობს	315	
2. არავინ გააღო კარი, არავინ იყო სახლში	355	
3. ადამიანმა, რომელთანაც შედგა კონტაქტი უარი განაცხადა თანამშრომლობაზე	470	
4. შერჩეულ რესპონდენტს არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება ინტრევიუს ჩატარების გეოგრაფიაში	225	
5. ბოლო დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი არ იყო სახლში	179	
6. შერჩეულმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე	150	
7. შერჩეულ რესპონდენტს არ შეეძლო კვლევაში მონაწილეობა (ავად იყო/ მთვრალი იყო და ა.შ)	35	
8. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება სახლში და ინტრევიუს ჩატარება არ არის შესაძლებელი	145	
9. სხვა მიზეზი	65	
10. წარმატებული ინტერვიუ	3,000	
ჯამი	4,939	70

16. **ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე-** მონაცემები ეფუძნება 25.09.2018- 04.10.2018 არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 3000 რესპონდენტთა აზრს.
17. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:** info@edisonresearch.com.
www.edisonresearch.com